
ჩა უნდა ვიუმოცეთ პოლიტიკოსებს პონაქტის დროს

ჩა უნდა ვიცოდეთ პოლიციასთან კონტაქტის დროს

ადმინისტრაციული დაკავება

პირის ადმინისტრაციული დაკავება არის თავისუფლების ხანმოკლე აღკვეთა, რომლის გამოყენებაც, დასაშვებია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის აღსაკვეთად, პიროვნების დასადგენად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შესადგენად და სხვა. პოლიცია ადმინისტრაციულ დაკავებას ხშირად იყენებს ისეთი გადაცდომებისთვის როგორებიცაა: წვრილმანი ხულიგნობა ან სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა.

ადმინისტრაციული წესით დაკავების შემთხვევაში, უფლება გაქვთ მოითხოვოთ:

- განმარტება დაკავების საფუძვლის შესახებ;
- ადვოკატთან დაკავშირება, დაკავების ფაქტის და ადგილსამყოფელის შეტყობინება ახლობელთან, სამუშაო ან სასწავლო ადგილის ადმინისტრაციასთან (ტელეფონის ჩამორთმევის შემთხვევაშიც);
- აგრეთვე უფლება გაქვთ უარი განაცხადოთ ოქმის ხელმოწერაზე თუ არ ეთანხმებით ოქმის შინაარსს, ოქმში მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებს და არ ადასტურებთ თქვენს მიერ ოქმში აღნიშნული სამართალდარღვევის ჩადენას. ხელმოწერაზე უარის თქმის შემთხვევაში ოქმში სათანადო ჩანაწერი კეთდება.

ნარკოტესტირებაზე გადაყვანა

ნარკოტიკული საშუალების ან/და ფსიქოტროპული ნივთიერების მოხმარების ფაქტის დადგენის მიზნით, პოლიციელი უფლებამოსილია საექსპერტო დანესებულებაში გამოსაკვლევად გადაიყვანოს პირი, თუ: უშუალოდ შეესწრო ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტს; პირი ცდილობს მიმალვას ან თავს არიდებს პოლიციელის კანონიერი მოთხოვნის შესრულებას; არსებობს ოპერატიული ინფორმაცია ან „112“-ში შესული შეტყობინება პირის მიერ ნივთიერების უკანონო მოხმარების შესახებ.

ნარკოლოგიურ შემოწმებაზე გადაყვანის შემთხვევაში, უფლება გაქვთ:

- საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის საფუძველზე, უარი განაცხადოთ ბიოლოგიური მასალის ჩაბარებაზე და ექიმის მიერ კლინიკურ დათვალიერებაზე;
- მოითხოვოთ ადვოკატთან დაკავშირება, დაკავების ფაქტის და ადგილსამყოფელის შეტყობინება ახლობელთან, სამუშაო ან სასწავლო ადგილის ადმინისტრაციასთან (ტელეფონის ჩამორთმევის შემთხვევაშიც);
- მოითხოვოთ გათავისუფლება, თუკი არ არსებობს თქვენი ადმინისტრაციული დაკავების სხვა საფუძველი.

პოლიციელს/საექსპერტო დანესებულების თანამშრომელს არ აქვს უფლება:

- ბიოლოგიური მასალის მისაღებად განახორციელოს ზეწოლა;
- შეგიზღუდოთ საპირფარეშოთი სარგებლობა;
- დაგაყვანოთ საექსპერტო დანესებულებაში, თუ უარს აცხადებთ ბიოლოგიური მასალის ჩაბარებაზე.

პოლიციის მიერ პირის გამოკითხვა

პოლიცია საზოგადოებრივი უსაფრთხოების მიზნით ახორციელებს პრევენციულ ღონისძიებებს. ვინაობის დასადგენად, პოლიციელს შეუძლია შეგაჩეროთ, გამოგკითხოთ პერსონალური მონაცემები და მოითხოვოს პირადობის დამადასტურებელი საბუთების წარდგენა, მათ შორის თუ არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ თქვენ ჩაიდინეთ სამართალდარღვევა ან ჩაიდენთ მას.

ასევე, დამატებით, პოლიცია უფლებამოსილია გამოგკითხოთ, თუ არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ თქვენ ფლობთ საჭირო ინფორმაციას. თუმცა გამოკითხვის შემთხვევაში, ინფორმაციის მიწოდება ნებაყოფლობითია.

პოლიციის მიერ თქვენი გაჩერების და გამოკითხვის შემთხვევაში, გაითვალისწინეთ:

- უფლება გაქვთ მოითხოვოთ განმარტება გაჩერების საფუძვლის შესახებ;
- თქვენ პოლიციელისთვის მხოლოდ პერსონალური მონაცემებისა და პირადობის დამადასტურებელი საბუთის წარდგენის ვალდებულება გეკისრებათ;
- თუ გარეგნული ნიშნებით შეუძლებელია პოლიციელის იდენტიფიცირება, შეგიძლიათ მოსთხოვოთ დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა, თუკი ხელს არ შეუშლის საპოლიციო ფუნქციების შესრულებაში.

საპოლიციო რეიდი

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი უფლებამოსილია გამოსცეს წერილობითი განკარგულება სპეციალური საპოლიციო კონტროლის ე.წ. რეიდის, განხორციელების თაობაზე. რეიდი ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ ჩადენილია ან ჩადენილი იქნება დანაშაული ან სხვა სამართალდარღვევა.

სპეციალური საპოლიციო კონტროლის/რეიდის დროს გაითვალისწინეთ, რომ:

- რეიდის დროს ხდება პირის ზედაპირული შემოწმება და ნივთის ან სატრანსპორტო საშუალების ზედაპირული დათვალიერება;
- ზედაპირული შემოწმება გულისხმობს ტანსაცმლის მხოლოდ გარე ზედაპირზე ხელით ან სპეციალური ხელსაწყოთი შეხებას;
- ნივთის ან სატრანსპორტო საშუალების ზედაპირული დათვალიერება მოიცავს ვიზუალურ დათვალიერებას, სატრანსპორტო საშუალების შემთხვევაში - მისი საბარგულის ვიზუალური დათვალიერებაც იგულისხმება;
- სპეციალური საპოლიციო კონტროლის განხორციელებისას პოლიციელი აღჭურვილი უნდა იყოს ფორმის ტანსაცმელზე დამაგრებული ჩართული ვიდეო-გადამღები ტექნიკით, რომლითაც უწყვეტ რეჟიმში ხდება ვიდეოგადაღება.

პირის მონვევა პოლიციაში

პოლიცია უფლებამოსილია, გასაუბრების მიზნით, მოგიწვიოთ პოლიციაში, თუ არსებობს საკმარისი საფუძველი, რომ ფლობთ პოლიციის საქმიანობისთვის საჭირო ინფორმაციას, რომელიც პოლიციას თავისი ფუნქციების შესრულებაში დაეხმარება.

პოლიციაში მონვევის შემთხვევაში გაითვალისწინეთ, რომ:

- უნდა მიიღოთ განმარტება მონვევის საფუძვლის შესახებ;
- პოლიციის დატოვება ნაბაყოფლობითია. თქვენ შეგიძლიათ არ გამოცხადდეთ ან ნებისმიერ დროს დატოვოთ პოლიციის შენობა. ამ უფლებით სარგებლობისათვის ადმინისტრაციული თუ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაგეკისრებათ.

გამოკითხვა და მოწმედ დაკითხვა

თუ თქვენ ფლობთ სისხლის სამართლის საქმისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას, შესაძლებელია ბრალდებისა და დაცვის მხარის მიერ ნებაყოფლობით გამოკითხვით. გამოკითხვა ნებაყოფლობითია და დაუშვებელია თქვენი იძულება მტკიცებულების წარმოდგენის ან ინფორმაციის გაცემის მიზნით. სავალდებულო წესით, მოწმის სტატუსით, თქვენ შეიძლება დაიკითხოთ, სისხლის სამართლის საქმის გამოძიების სტადიაზე, მხოლოდ მაგისტრატი მოსამართლის წინაშე*.

გამოკითხვისა და მოწმედ დაკითხვის შემთხვევაში გაითვალისწინეთ, რომ:

- გამოკითხვაზე თანხმობის შემთხვევაში, ვალდებული ხართ სწორი ინფორმაცია გასცეთ საქმესთან დაკავშირებით თქვენთვის ცნობილი გარემოებების შესახებ;
- გამოკითხვისას/მოწმის სტატუსით დაკითხვისას უფლება გაქვთ საკუთარი ხარჯით, ისარგებლოთ ადვოკატის მომსახურებით;
- შეგიძლიათ არ გასცეთ ინფორმაცია საკუთარი თავის ან/და ახლო ნათესავის წინააღმდეგ;
- მაგისტრატი მოსამართლის წინაშე ჩვენების მიცემა სავალდებულოა. ჩვენების მიცემაზე უარის თქმა იწვევს პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

*გაითვალისწინეთ, რომ მოწმის დაკითხვის ეს წესი არ ვრცელდება ყველა სახის დანაშაულზე.

დაიმახსოვრეთ!

თუ მიიჩნევთ, რომ პოლიციის ქმედებით დაგერღვათ უფლებები, თქვენ შეგიძლიათ:

- გაასაჩივროთ პოლიციის ქმედება ზემდგომ თანამდებობის პირთან, პროკურატურაში ან სასამართლოში;
- მიმართოთ საქართველოს სახალხო დამცველს, მათ შორის ცხელი ხაზის მეშვეობით - 1481;
- ისარგებლოთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის ცხელი ხაზით - 126, მიმართოთ მას წერილობითი განცხადებით თუ საჩივრით და მოითხოვოთ სამსახურებრივი შემოწმების განხორციელება;
- მიმართოთ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, რომლებიც პირებს უფასო იურიდიულ დახმარებას სთავაზობენ.

საინფორმაციო ბროშურა მომზადებულია „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC)" მიერ, პროექტი - „ინდივიდუალური უფლებებისა და თავისუფლების დაცვა საპოლიციო და სისხლის სამართლის სისტემაში" ფარგლებში, რომელიც მხარდაჭერილია ღია საზოგადოების ფონდების მიერ.

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი

EMC

Human Rights Education and Monitoring Center